

23/01/2016

ქალბატონო ლია,

როგორც მოგეხსენებათ, ჰიპერმარკეტი „აგროჰაბი“ გაიხსნა 2016 წლის 26 დეკემბერს.

„აგროჰაბის“ ძირითადი კონცეფციაა 100%-ით ჯანსაღი და ნატურალური პროდუქტების მიწოდება მომხარებლისათვის, რათა ხელი შეეწყოს საზოგადოების ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობას.

კომპანიას გააჩნია IშО 22000-ით სერტიფიცირებული და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ აღიარებული ქართული ნატურალური რძის გადამამუშავებელი ქარხანა.

პროდუქციის უმაღლესი ხარისხი აგროჰაბის #1 პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, აგროჰაბის დახლებზე განთავსებული პროდუქტების (მათ შორის, რძის პროდუქტების) ხარისხის კონტროლისათვის გვაქვს უმაღლესი დონის ევროპული დანადგარებით აღჭურვილი სამი სახის ლაბორატორია (ფიზიკო-ქიმიური, მიკრობიოლოგიური და ვეტერინარული) და სპეციალურად შერჩეული გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია პროდუქციის უსაფრთხოებასა და მაღალ ხარისხზე.

გვაქვს ინფორმაცია, რომ ჩვენგან შეიძინეთ პროდუქტები ლაბორატორიული კვლევისათვის. თუ შეიძლება რომ გვითხრათ, კონკრეტულად რომელი ტიპის პროდუქტები შეიძინეთ და რა პარამეტრებზე გაუკეთდება ლაბორატორიული შემოწმება, რათა ჩვენც პარალელურად შევაწმოთ იგივე პროდუქტები და ლაბორატორიული დასკვნები ერთმანეთს შევადაროთ.

გვჯერა, რომ თუ ურთიერთკოორდინირებულად ვიმუშავებთ, შესაძლო ლაბორატორიულ შეცდომებსაც ავიცილებთ თავიდან, რომელიც, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, დამანგრეველია კომპანიების რეპუტაციისათვის და ასევე მომხარებლების შეცდომაში შეყვანაც შეუძლია.

გენერალური დირექტორი

გიორგი ჯაშიაშვილი

